ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N27/28 დადგენილებაში ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ცვლილების განხორციელების შესახებ საჯარო სხდომის

ოქმი N1

ქ. ფოთი

07.12.2022წ.

სხდომას თავმჯდომარეობდა - ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის სამსახურის უფროსი დავით ჯგერენაია.

სხდომას ესწრებოდნენ: სკრებულოს წევრები ბექა მორჩილაძე, თემურ დუნდუა, შპს „სოიასტარი“-ს წარმომადგენელი თემური მიმინოშვილი, შპს „სანერგე მეურნეობა“-ს წარმომადგენლები მიხეილ სესკურია, იაგო თავართქილაძე, მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის განყოფილების უფროსი ილო სალაყაია, ამავე განყოფილების სპეციალისტი გიაზი დანელია და სპეციალისტი კოტე გვასალია.

დღის წესრიგი:

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის დამტკიცების ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N 27/28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

საჯარო განხილვის სხდომის თავმჯდომარემ დავით ჯგერენაიამ და თანამომხსენებელმა ილო სალაყაიამ სხდომის დამსწრეებს გააცნო შემდეგი:

ცვლილება უნდა შევიდეს ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N27/28 დადგენილებაში, კერძოდ;

შპს „სოიასტარი“-ს საკუთრებაში არსებული 10 000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, რომელიც მდებარეობს ქალაქ ფოთში, კოკაის ხეივანიN 10-ში მუნიციპალიტეტის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის საფუძველზე მოქცეულია სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიებში, ხოლო კომპანიას მისი შემდგომი განვითარებისა და ინვესტიციის მოზიდვის მიზნით ესაჭიროება, რომ ტერიტორიას მიენიჭოს სამრეწველო ზონის ფუნქცია.

საკითხთან დაკავშირებით საკრებულოს მიერ 2022 წლის 25 ნოემბერს მიღებულ იქნა განკარგულება N12/82 „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N27/28 დადგენილებაში ,,ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ცვლილების განხორციელების მიზნით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

ბექა მორჩილაძემ, თემურ [illegible]

ბექა მორჩილაძე - მივესალმებით წარმოდგენილ პროექტს ტერიტორიისათვის შესაბამისი ზონის მინიჭების თაობაზე. დადებითი ფაქტორია ის, რომ მიწის ნაკვეთზე არ იგეგმება ისეთი ობიექტის მოწყობა, რომელიც ზეგავლენას მოახდენს ადამიანის ჯამრთელობასა და გარემოზე.

თემურ დუნდუა - ვეთანხმები წარმოდგენილ პროექტს, რადგან მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება და ადგილობრივი ბიუჯეტი მიიღებს დამატებით შემოსავალს.

თემურ მიმინოშვილი - კომპანიას გააჩნია დიდი გამოცდილება ლოჯისტიკურ საქმიანობაში. დაგეგმილი ინვესტიციის განხორციელების შედეგად დასაქმდება 250 ადამიანამდე მუშახელი. ასევე პროექტის განხორციელების შემდეგაც იგეგმება სხვადასხვა ტიპის ინვესტიციების მოზიდვა.

დაადგინეს:

შევიდეს ცვლილება „ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის - გენერალური გეგმისა და განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 2 დეკემბრის N27/28 დადგენილებაში, კერძოდ; ქალაქ ფოთში, კოკაიას ხეივანი N10-ში, შპს „სოიასტარი“-ს საკუთრებაში არსებულ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების, 10 000 კვ.მ მიწის ნაკვეთს (ს/კ 04.01.03.965) მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით არსებული სასოფლო სამეურნეო დანიშნულების ტერიტორიის ნაცვლად მიენიჭოს საწარმოო ზონა (იზ-1)-ს ფუნქცია.

ბექა მორჩილაძე

თემურ დუნდუა

თემურ მიმინოშვილი

მიხეილ სესკურია

იაგო თავართქილაძე

დავით ჯგერენაია

ილო სალაყაია

გიაზი დანელია

კოტე გვასალია.